თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ოქმი N7

ქ. თელავი 2018 წლის 12 აპრილი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: დავით ღაღანიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის **წევრები:** **გიორგი ჩაბრაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ლევან ოთიურიძე, ბესიკ ქოჩიშვილი, ვასილ არაბული, არჩილ თვალიაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი, საკრებულოს წევრები: ნანა ხვისტანი, ტიტე დარეჯანიშვილი, მაია მარკოზაშვილი, ლევან კოჭლოშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე, სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ლევან ბერძენაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი მალხაზი ბაღუაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე

გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და ნებართვის მიღების წესის პროექტის განხილვა.

მომხს. დ. ღაღანიძე

2. 2018 წელს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილი საპროექტო წინადადებების პროექტის განხილვა.

მომხს. დ. ღაღანიძე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 აგვისტოს №24 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე''ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტის განხილვა.

მომხს. დ. ღაღანიძე

4. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 ოქტომბრის №71 განკარგულებაში „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გათვალისწინებული 2018 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვა

მომხს. დ. ღაღანიძე

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და ნებართვის მიღების წესის პროექტის განხილვა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი შედგება 3 დანართისგან. დანართი№1 შეეხება თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცებას; დანართი№2-ის შესაბამისად მტკიცდება სანებართვო მოწმობის ფორმა, ხოლო დანართი 3-ის თანახმად მტკიცდება სანებართვო რეესტრის ფორმა.

დ. ღაღანიძეს პროექტთან დაკავშირებით ჰქონდა შენიშვნები, კერძოდ პროექტის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის გ) ქვეპუნქტით ნებართვის მფლობელს აქვს უფლება, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში განათავსოს გარე რეკლამის ტექნიკური საშუალება.

მისი აზრით ერთ პირს არ უნდა ჰქონდეს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილში რეკლამის განთავსების უფლება და აღნიშნული გ) ქვეპუნქტი პროექტიდან ამოსაღებია.

წარმოდგენილი პროექტის მე-6 მუხლის მე-6 ქვეპუნქტის შესაბამისად ,,გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონზე გაცემის საწყისი ფასი გასაცემი სარეკლამო საშუალების 1კვ.მ-ზე განისაზღვრება აუდიტის შესაბამისი შეფასებით.

დ. ღაღანიძის მოსაზრებით აუქციონზე გაცემის საწყისი ფასი სარეკლამო საშუალების 1.კვ.მ-ზე ქუჩებისა და ტერიტორიების მიხედვით უნდა დაადგინოს საკრებულომ. აუდიტის მომსახურეობის შემთხვევაში მერიას მოუწევს დამატებითი ხარჯების გაწევა.

აზრი გამოთქვეს: ბ. ქოჩიშვილმა აღნიშნა, რომ ეთანხმება დ. ღაღანიძის მოსაზრებას და მიაჩნია, რომ სააუქციონო ფასი უნდა დადგინდეს ქუჩებისა და ტერიტორიების მიხედვით და უნდა დაადგინოს საკრებულომ.

ნ. ხვისტანმა აღნიშნა, რომ შენიშვნა აქვს პროექტის მე-6 მუხლის 1 პუნქტთან დაკავშირებით. მიზანშეწონილია, რომ ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვრებოდეს არანაკლებ 1 და არაუმეტეს 8 წლისა.

დ. ნუსხელიძემ აღნიშნა, რომ პროექტში არ არის ასახული თუ როგორ შეიძლება გამოყენებული იქნეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განათების ბოძები სარეკლამო და მიმართულების მაჩვენებელი აბრების გასათავსებლად. სასურველია საკრებულომ დაამტკიცოს განათების ბოძებზე განსათავსებელი აბრების გაბარიტული ბოძები და ღირებულების საწყისი ფასი.

გადაწყვიტეს: შეიმუშაოს კომისიამ რეკომენდაცია, რომელიც გაეგზავნება მუნიციპალიტეტის მერიას, რათა გათვალისწინებულ იქნას რეკომენდაციაში აღნიშნული შენიშვნები და პროექტი შესწორებული სახით წარედგინოს ბიუროს სხდომას.

მოისმინეს:2. 2018 წელს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილი საპროექტო წინადადებების პროექტის განხილვა.

გადაწყვიტეს: 2018 წელს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილი საპროექტო წინადადებების პროექტი განსახილველად წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

მოისმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 აგვისტოს №24 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე''ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტის განხილვა.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 აგვისტოს №24 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე''ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განსახილველად.

მოისმინეს: 4. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 ოქტომბრის №71 განკარგულებაში „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გათვალისწინებული 2018 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვა

გადაწყვიტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 ოქტომბრის №71 განკარგულებაში „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გათვალისწინებული 2018 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის წარედგენა საკრებულოსათვის განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე _____ დავით ღაღანიძე